- ტექნიკურ-სამსახურებრივ სივრცეებს: საქვაბე, დამხმარე სათავსოები, გარდეროზი, პერსონალური ზონა, სანკვანძები და ფუნქციურად გამოყოფილი პერსონალის კიბის უჯრედი.
- ფურცელაძის ქუჩისკენ ორიენტირებული ავარიული გასასვლელის კიბის მარში, რაც მიანიშნებს თავდაპირველ გეგმარებაში გათვლილ ევაკუაციის მარშრუტებზე.

ამ გეგმარებით ნათლად ჩანს, რომ სარდაფის სართული განიხილებოდა არა მხოლოდ ტექნიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, არამედ როგორც კულტურულ-საზოგადოებრივი აქტივობების ერთიანი სივრცე.

პირველი სართულის გეგმა

აღნიშნული გეგმის მიხედვით, შენობის პირველი სართულის გეგმარება აჩვენებს იმ დროისთვის არქიტექტურულად ინოვაციურ, გააზრებულ და დაგეგმარებულ სტრუქტურას, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო შენობიოს ფუქნციურობასთან:

შენობაში ცენტრალური შესასვლელი მოწყობილია რუსთაველის პროსპექტიდან, გვერდით განთავსებული ორი საავარიო გასასვლელით, რაც უზრუნველყოფდა მაყურებელთა ნაკადების გადანაწილებას.

პირველ სართუოლზე მოწყობილი იყო, ვესტიბული ბილეთების სალაროებით. ორი ძირითადი კიბის უჯრედი, რომელიც სიმეტრიულად თავსდებოდა დასავლეთ მონაკვეთში და პარადული კიბეებით აკავშირებდა ვესტიბულს, მაყურებელთა დარბაზთან.

ფურცელაძის ქუჩიდან ვესტიბულში მოთავსებული ე.წ. საზაფხულო შესასვლელი, რაც განაპირობებდა სეზონურ გამოყენებასა და სხვადასხვა ნაკადზე რეაგირების შესაძლებლობას.

დარბაზიდან გამომავალი ოთხი დამოუკიდებელი კიბის უჯრედი, უკავშირდებოდა საევაკუაციო ვესტიბულს და ორიენტირებული იყო ფურცელაძის ქუჩაზე. აღნიშნული ელემენტი გვიჩვენებს გააზრებულ და დაგეგმარებულ ევაკუაციის სტრატეგიას, რაც იმ პერიოდისთვისაც კი პროგრესულად ითვლებოდა.

პირველ სართულზე განტავსებული იყო დამატებითი ფუნქციური ზონები: კანტორის და საწყობის სათავსოები, პერსონალის ოთახი, დამხმარე კიბის უჯრედი, ასევე ფურცელაძის ქუჩიდან სარდაფისკენ გაჭრილი კიბე.

ამ სივრცით ლოგიკაში მკვეთრად გამოიკვეთა ორი პარალელური ღერძი — საზოგადოებრივი და მომსახურე, რაც არქიტექტურულად შევსებულ, ფუნქციურად მწყობრ სისტემას ქმნიდა. პროექტი თავიდანვე გათვლილი იყო არა როგორც

ადაპტირებული კინოთეატრი, არამედ როგორც თავდაპირველი დანიშნულებისთვის აგებული ახალი ტიპის შენობა.

1939 წლის რეკონსტრუქციის პროექტი

შენობის პირველი რეკონსტრუქცია, განხორციელდა 1939 წელს. აღნიშნული პროექტი შეიცავს დარბაზის და ინტერიერის შიდა მოდიფიკაციებს, თუმცა ძირითადი გეგმარებითი და არქიტექტურული სისტემა უცვლელი რჩება. ცვლილებები ძირითადად უკავშირდება სავარაუდოდ მაყურებელთა კომფორტის გაზრდის მიზნით გადაკეთებულ სივრცეებს, თუმცა დეტალური ნახაზები ან სპეციფიკაციები ამ ეტაპზე არ მოიპოვება.

1941 წლის რეკონსტრუქციის პროექტი

რეკონსტრუქციის შემდეგი ეტაპი, უკაბშირდება 1941 წელს, რომელიც კინოთეატრ „რუსთაველის“ სარდაფის სართულის ფუნქციური და სტრუქტურული ტრანსფორმაციას გულისხმობდა.

შენობის თავდაპირველი გეგმარებით, 1936 წლის პროექტის მიხედვით, სარდაფი განიხილებოდა როგორც საზოგადოებრივი და ტექნიკური დანიშნულების მქონე სივრცე, სადაც განთავსებული იყო რესტორანი ბარით, საცეკვაო მოედანი, ჯაზ-ორკესტრის სცენა, ტექნიკური სათავსოები, პერსონალის ზონა და საქვაბე. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის დროს, ამ სივრცის ძირეული ტრანსფორმაცია გახდა საჭირო — თავდაცვის მიზნით მის მიწისქვეშა ბუნებრივ ლოკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა.

1941 წელს მომზადდა სარდაფის სართულზე ბომბსაფარი-ბუნკერის მოწყობის სპეციალური პროექტი, რომელიც იმდროინდელი სამხედრო სტანდარტების შესაბამის უსაფრთხოების არქიტექტურულ გადაწყვეტებს ეფუძნებოდა. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა სარდაფის სივრცის ნაწილობრივ გადაგეგმარებასა და მასშტაბურ კონსტრუქციულ გამაგრებას. კერძოდ, დაგეგმილი იყო:

- ორგვერდიანი აგურის კედლების აგება მაღალი სიმკვრივის ცემენტის ხსნარზე;
- ლითონის ზოლოვანი ჩანართების ინტეგრირება საყრდენ კედლებში, შიდა დატვირთვის სტაბილიზაციის მიზნით;
- სართულშუა გადახურვის გამაგრება 18-22 სმ დიამეტრის ხის დგარებით, ხის კოჭებითა და ირიბანებით, რომლებიც დამაგრებული იყო ლითონის ჩანგლებით;
- დამატებით, შემუშავებული იყო ვენტილაციის, წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ელექტროგაყვანილობის სისტემების სრული სქემა, რომელიც უზრუნველყოფდა ბუნკერის ავტონომიურ ფუნქციონირებას.

დოკუმენტში პროექტის ავტორი მითითებული არ არის, თუმცა სარეპროდუქციო ნახაზებისა და სტილისტური მახასიათებლების ანალიზის საფუძველზე, იგი მაღალი ალბათობით უკავშირდება არქიტექტორ ნიკოლოზ სევეროვის სახელოსნოს. ბომბსაფრის განხორციელების ფაქტობრივ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს დღემდე შემორჩენილი ორმაგი ჰერმეტული კარი, რომელიც 1941 წელს დამონტაჟდა ბუნკერის მთავარ ღიობებში, ასევე — დუღაბის ძველი ნალესობის ფრაგმენტები, მოპრიალებული მოზაიკური იატაკი და ორიგინალური საფეხურები.

ომის დასრულების შემდეგ, ბომბსაფრის თავდაცვითი ფუნქცია ცხადია გამოუყენებელი გახდა და სარდაფის სართული ახალი, ცვალებადი დანიშნულების სივრცედ იქცა. შესაბამისად ის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა დანიშნულებით ფუქნციონირებდა (მხატვართა კლუბი, ფილატელისტთა კლუბი, ქრონიკის დარბაზი. კინოდარბაზი „წიტელი“ და „ლურჯი“, ტოტალიზატორი, ბავშვთა გასართობი ცენტრი „მაგადასკარი“)

სარდაფის სართული ფურცელაძის ქუჩიდან უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი კარითა და კიბის უჯრედით, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს არქიტექტორების მიერ იმ დროისთვის პროგრესულად გააზრებულ მაყურებელტა ნაკადების ლოგიკას. თავდაპირველი საქვაბე, რომელიც ტექნიკური საჭიროებისთვის გამოიყენებოდა, მოგვიანებით კვების ობიექტად გადაიქცა და მასში სახაჭაპურე #1 განთავსდა.

ამ ფართებში განხორციელებულმა მრავალრიცხოვანმა რეკონსტრუქციებმა სერიოზულად შეცვალა სივრცის შიდა კონფიგურაცია. ტიხრების განლაგება, გადახურვები და ზოგიერთ შემთხვევაში არქიტექტურული დეტალებიც — მორგებული იქნა კონკრეტულ, დროებით კომერციულ საჭიროებებზე. მიუხედავად ამისა, რამდენიმე აუტენტური დეტალი, დღემდე ინახავს თავდაპირველ სტრუქტურულ და ფუნქციურ იდენტობასთან კავშირს.

1968 წლის რეკონსტრუქციის პროექტი

შენობის გადაკეთების შემდეგი ეტაპი, 1968 წელს ეკავშირდება. აღმასკომის კინოფიკაციის სამმართველოს დაკვეთით, სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა „თბილქალაქპროექტმა“ (არქიტექტორები: შ. ყავლაშვილი, ვ. ქურთიშვილი; კონსტრუქტორი: რ. შიოლაშვილი) შეიმუშავა რუსთაველის სახელობის კინოთეატრის მასშტაბური რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც მიმართული იყო ფუნქციურად და ტექნიკურად მოძველებული შენობის მოდერნიზაციისკენ. აღნიშნული პროექტი პასუხობდა იმ ეპოქის კინოჩვენების და საზოგადოებრივი კულტურის დაწესებულებებისადმი არსებულ მოთხოვნებს, რაც გულისხმობდა მაყურებელთა უკეთ ორგანიზებულ მოძრაობას, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას, თანამედროვე ვენტილაცია-კონდიცირების სისტემების დანერგვას და ინტერიერის მხატვრული განახლების საჭიროებას.

კინოთეატრის მთავარ დარბაზს ჰქონდა პარტერისა და ორი იარუსის სისტემით მოწყობილი 1060 ადგილი, რაც დღეში შვიდი სეანსის გამართვის შესაძლებლობას ქმნიდა და შესაბამისად 7400 მაყურებლის მიღებას უზრუნველყოფდა. თუმცა, არსებული გეგმარებითი სქემა და ინფრასტრუქტურა აღარ შეესაბამებოდა მოთხოვნებს: მოძველებული იყო ვესტიბულის ფართობი, სანიტარული კვანძების რაოდენობა და მდგომარეობა, ასევე არ არსებობდა ჰაერის კონდიცირების სისტემა. შენობის რადიკალურ რეკონსტრუქციას მიზნად ჰქონდა ყველა ეს პრობლემა ტექნიკურად და მხატვრულად გადაჭრილიყო.

სარდაფის სართულზე განთავსდა 140 მაყურებელზე გათვლილი მცირე კინოდარბაზი, რომლისათვისაც სპეციალურად მოეწყო ახალი რკინა-ბეტონის კიბე ფურცელაძის ქუჩიდან. დამონტაჟდა სავენტილაციო და კონდიცირების სისტემების სათავსები, ტექნიკური და დამხმარე სივრცეები. ფუნქციური განაწილების ფარგლებში გათვალისწინებული იყო წყლის მომარაგების, ელექტრომომარაგების და ჰაერის ცირკულაციის სისტემების სრულფასოვანი განახლება.

პირველ სართულზე ვესტიბულის ფართობი შემცირდა, რაც გამოყენებულ იქნა სალაროებისა და ადმინისტრაციული სივრცის გასაფართოებლად. ძველი ვიწრო შესასვლელი კარებები ჩანაცვლდა ალუმინის ჩარჩოებში ჩამონტაჟებული შუშის ფართო კარებით, რის შედეგადაც სალაროებისა და ფოიეს სივრცეები ერთიან ვიზუალურ სივრცედ იქცა(ტამბურის მოხსნის ხარჯზე). ინტერიერის კედლებისა და იატაკის მოპირკეთება განხორციელდა გრანიტის მასალით, დამონტაჟდა შეკიდული ჭერი და დეკორატიული ელემენტები.

მეორე სართულზე სამაყურებლო დარბაზის იდენტური გეგმარებითი ფორმა შენარჩუნდა, თუმცა შეიცვალა კონსტრუქციული სისტემა: დამონტაჟდა რკინა-ბეტონის სვეტებზე დაყრდნობილი ამფითეატრის ტიპის იარუსები, ხოლო ჭერი დამზადდა მსუბუქი ლითონის კარკასზე დაყრდნობილი ხის ბოჭკოვანი აკუსტიკური პანელებისგან. შეიცვალა იატაკის საფარი და სრული ავეჯი. ფოიეს კედლები მოეწყო ბოლნისის ტუფითა და მუხის შპონით დაფარული ხის პანელებით, აიყვანეს დეკორატიული კესონებიანი ჭერი, დამონტაჟდა თანამედროვე ტიპის განათება.

მესამე სართულზე განხორციელდა ჭერის ამოჭრა ვესტიბულის ცენტრალურ ნაწილში და იქ მოეწყო მეტალის დეკორატიული მოაჯირი. დაგეგმილი იყო სვეტების მოდერნიზაცია, თუმცა აღნიშნული ცვლილება სავარაუდოდ არ განხორციელდა. მეოთხე სართულზე, დარბაზის მეორე იარუსის პარალელურად, მოეწყო კინო-ბიბლიოთეკა და ლექტორიუმი, ასევე მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენების სივრცე.

ფასადზე განხორციელებული ცვლილებები მოიცავდა რუსთაველის გამზირის მხარეს არსებული ფანჯრების ნაწილობრივ ამოშენებას და სააფიშე ვიტრინების

დამონტაჟებას. ასევე შესასვლელში არსებული სწორკუთხა კოლონები ჩანაცვლდა ელიფსური ფორმის სვეტებით, ფასადის მასალად კი გამოყენებული იქნა გრანიტის გაპრიალებული ფილები და ბაზალტის ცოკოლი. ტროტუარის გასწვრივ მოეწყო კონსოლური ლითონის კარნიზი წარწერით.

დოკუმენტაციის თანახმად, პროექტის ტექნიკური ნაწილი მოიცავდა გათბობის, ვენტილაციის, კანალიზაციისა და ელ. მომარაგების ქსელების სრულ განახლებას, ასევე რკინა-ბეტონის კონსტრუქციული კიბეების და მინის ვიტრაჟების დამონტაჟებას ანოდირებული ალუმინის პროფილებით.

მიუხედავად მრავალი გადაკეთებისა და თანამედროვე ჩარევებისა, არქივში დაცული მასალებისა და ვიზუალური დოკუმენტაციის მიხედვით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 1968 წლის რეკონსტრუქცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და კომპლექსურ ჩარევას თბილისის კინოთეატრების მოდერნიზაციის ისტორიაში. იგი აერთიანებდა არქიტექტურულ, საინჟინრო და მხატვრულ კომპონენტებს და ხელს უწყობდა კინოთეატრის, როგორც კულტურულ-საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულების, ფუნქციურ გაუმჯობესებას და არქიტექტურული სახის განახლებას.

1970-74 წლის რეკონსტრუქციის პროექტი

1970-74 წლებში, ეროვნულ არქივში დაცული მონაცემების მიხედვით, სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „თბილქალაქპროექტის“ მეოთხე არქიტექტურული სახელოსნოს მიერ შემუშავდა კინოთეატრ „რუსთაველის“ რეკონსტრუქციის პროექტი (არქიტექტორი: შ. ყავლაშვილი). აღნიშნულ პროექტში ძირეული და რთული მოდიფიკაციები გათვალისწინებული არ იყო და მოიცავდა ცალკეული კვანძების, დეტალების და შერჩევითი ელემენტების გაუმჯობესების მიზნით მომზადებული ნახაზები. პროექტი მოიცავდა შემდეგ სამუშაოებს:

- ფასადებზე ხის დანაწევრებული კარ-ფანჯრების ალათების შეცვლა და მათი ჩანაცვლება უფრო მსხვილი კომპოზიციის ელემენტებით;
- სარეკლამო-სააფიშე ვიტრაჟების მონტაჟი ორივე ფასადზე;
- კოლონების მოპირკეთება გრანიტის პოლირებული ფილებით.



ამავე წელს შემუშავდა კინოდარბაზის ამფითეატრის ქვეშ კაფე-ბუფეტის მოწყობის პროექტი. ეს დოკუმენტაცია მოიცავს ხისა და ტყავის პანელების განლაგების სქემებს, შეკიდული ჭერის კონსტრუქციებს, ბარის ავეჯის ტიპოლოგიასა და სხვა დეტალებს. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კინოდარბაზის კედლების მოპირკეთება მუხის შპონით დაფარული ფანერის ფილებით. თავდაპირველი ნალესობიდან გამოყვანილი პროფილირებული ჩარჩოები და ქვედა ნაწილში განლაგებული რუსტები დაფარული იქნა დაახლოებით 2 სმ სისქის დიდი ზომის პანელებით, რომლებიც ხის კარკასზე დამონტაჟდა. ეს ჩარევა მიზნად ისახავდა დარბაზის ინტერიერის თანამედროვე ესთეტიკასთან და აკუსტიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.

1974 წელს იმავე სახელოსნოს მიერ მომზადებული რეკონსტრუქციის პროექტი (არქიტ.: შ. ყავლაშვილი) ეხება სარდაფის სართულზე მდებარე მცირე ქრონიკებისა და დოკუმენტური ფილმების 104 მაყურებელზე გათვლილი დარბაზის რედიზაინს. სამუშაო მოიცავდა მთლიანი სართულის გადაგეგმარებას, ტიხრების გადაადგილებას, ახალი კოლონების დამატებას და პემზაბეტონის ბლოკებით კედლების აგებას. დარბაზში მოეწყო პანდუსი, შეკიდული ჭერი და ეკრანის უკან დამონტაჟდა ხმის ჩამხშობი მასალა. კიბის საფეხურები მოპირკეთდა 3 სმ სისქის გრანიტის ფილებით, ჩასმული ცემენტის დუღაბზე.

დარბაზისა და ჰოლის კედლებზე დამონტაჟდა დეკორატიული ხის პანელები და ვენტილაციის სისტემის დასაფარი ხის ხაზოვანი ცხაურები. სალაროს ვესტიბულის კოლონები და კედლები მოპირკეთდა ბოლნისის ტუფით. სანიტარულ კვანძებში კედლები დაფარულია კერამიკული ფილებით 220 სმ სიმაღლეზე, ხოლო დანარჩენ სათავსოებში შეილესა და შეიღება ზეთის საღებავით იმავე სიმაღლეზე. იატაკებზე დამონტაჟდა მეტლახი და მუხის პარკეტი ბიტუმის ფენილზე. პროექტში ასახულია

აგრეთვე სარდაფის სართულის საინჟინრო სისტემების — წყალსადენის, გათბობისა და კანალიზაციის — განახლებაც. წარმოდგენილია შესაბამისი ელექტრო, მექანიკური, სანტექნიკური და ტექნოლოგიური ნახაზები.

ეს პერიოდი გამოირჩევა დეტალური და თანმიმდევრული ინტერვენციებით, რომლებიც მიმართული იყო არა მხოლოდ ესთეტიკური განახლებისკენ, არამედ ფუნქციური და საინჟინრო მახასიათებლების გაუმჯობესებისკენ, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა კინოთეატრ „რუსთაველის“ სოციალურ და კულტურულ მნიშვნელობას იმდროინდელი თბილისის ურბანულ ქსოვილში.

1990–2003 წლის რეკონსტრუქციის პროექტი



1990-იანი წლებიდან კინოთეატრ „რუსთაველის“ სარდაფისა და პირველი სართულის შიდა სივრცეებში განხორციელებული ინტერვენციები მოითხოვს ცალკე ანალიზს, როგორც ფუნქციური, ისე მხატვრულ-არქიტექტურული ტრანსფორმაციების თვალსაზრისით და სამწუხაროდ შენობის ისტორისს ერთ-ერთი დრამატული ფურცელია.

სარდაფის სართულზე 1990-იან წლებში განხორციელდა მასშტაბური სარემონტო სამუშაოები, რის შედეგადაც მეტწილად წაიშალა 1974 წლამდე განხორციელებული რეკონსტრუქციის კვალი. დაცულია მხოლოდ მცირე ფრაგმენტები — კერძოდ, კიბის უჯრედის კედლებზე ბოლნისის ტუფით მოპირკეთებული ფილები, რომლებიც დღესდღეობით თაბაშირ-მუყაოს გვიანდელი მოპირკეთების ქვეშაა შენახული.

სამოქალაქო ომის დროს მიღებული დაზიანებებისა და მათი აღდგენის შესახებ არქივში ინფორმაცია არ მოიძებნება, ისევე როგორც არ არის დოკუმენტირებული 1990-იანი წლების ბოლოსა და 2000 წლამდე პერიოდულ სარემონტო სამუშაოებზე ინფორმაცია. 2001–2003 წლებში განხორციელდა რიგი რეკონსტრუქციული ჩარევები, რომლის პროექტული დოკუმენტაცია ჯერჯერობით არ იძებნება. თუმცა ანალიზით დასტურდება:

- სარდაფის სართულზე, რომელიც ფუნქციურად არაერთხელ შეიცვალა (ბარ-რესტორანი, ბუნკერი, ქრონიკის დარბაზი, კლუბები, კინოდარბაზები), განთავსდა ბავშვთა გასართობი ცენტრი „მადაგასკარი“ და ძველი საქვაბეს ადგილას – კვების ობიექტი „სახაჭაპურე N1“. ორივე სივრცე დაფარული იქნა თაბაშირ-მუყაოს დეკორით, რითაც სრულად დაიფარა ისტორიული მოპირკეთება ბოლნისის ტუფით. დარჩენილი ფართები ფუნქციურად გამოყენებულ იქნა როგორც საწყობი.
- პირველ სართულზე მთავარი კარის ბლოკის ტროტუარზე გადმოტანამ მნიშვნელოვნად შეცვალა ვესტიბულის დაგეგმარება, რაც შესაძლებელს ხდიდა შიდა სივრცეების გაფართოებასა და ფუნქციურ გადანაწილებას. მოიხსნა შიდა ტიხრები, გაერთიანდა ფოიე და ბილეთების ვესტიბული, ხოლო კიბის უჯრედებთან განთავსდა სალაროები. ამ სივრცეებში მოწყობილი იქნა დამატებითი ბუფეტი, სანიტარულ-ტექნიკური კვანძები, კომერციული ობიექტები (ბანკის ოფისი, მაღაზიები და სხვ.). ფოიეს კესონირებული ჭერი დაფარული იქნა თაბაშირმუყაოს ფილებით, შეიცვალა სვეტების პროფილი — მრგვალ ფორმაში, ხოლო კიბის საფეხურებზე მოთავსდა შავი გრანიტის ფილები.
- მეორე სართულზე ამფითეატრის ქვეშ არსებული ბუფეტის ადგილას დაემატა ახალი მცირე კინოდარბაზი N2. ყოფილი ადმინისტრაციული სივრცეების ნაცვლად შეიქმნა დერეფნები და პერსონალის ტექნიკური ზონები.
- 2003 წლის განახლებული სამუშაოების შედეგად მოხდა მნიშვნელოვანი ჩარევა შენობის ზემო სართულებზე. სხვენში დამატებულ იქნა სამი ახალი მცირე კინოდარბაზი (N3, N4, N5) საპროექციო და დამხმარე ზონებით. მესამე სართულზე, ფოიეს სივრცეში, მოიხსნა მინის მოაჯირი და გაუქმდა მეოთხე სართულზე ამავალი კიბის მარშები. ამ სივრცეებში ლითონისა და ხის მსუბუქი სტრუქტურების მეშვეობით მოხდა მცირე კინოდარბაზების ინტეგრირება, რომლებიც ნაწილობრივ ფარავს 1968 წლის ფოიეს იატაკში ჩაჭრილ სივრცეს. დამატებითი კიბე უკავშირდება N5 დარბაზს მეოთხე სართულიდან, ხოლო ფანჯრები გახსნილია რუსთაველის გამზირისკენ.

მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად ამ ინტენსიური ინტერვენციებისა, დიდი კინოდარბაზი თითქმის უცვლელად შენარჩუნდა. დღემდე არსებობს ნ. სევეროვის პროექტით დაპროექტებული სავენტილაციო სისტემის ცხაურები ჭერის პერიმეტრზე, შ. ყავლაშვილის მიერ შესრულებული შეკიდული ჭერი, კედლის ხის პანელები და

სანათების კომპოზიციები. 2003 წელს ამ იარუსზე მოეწყო VIP სივრცე, რაც მოიცავდა კომფორტული სავარძლებისა და მიმდებარე ბუფეტის ინტეგრირებას.

თაბაშირმუყაოს პანელებით დაიფარა როგორც ახლადმოწყობილი დარბაზების, ასევე ძველი კორპუსის კედლები და ჭერი, რაც არსებითად ცვლის ინტერიერის თავდაპირველ ვიზუალურ იდენტობას.

3. კინოთეატრ „რუსთაველი“-ს ზოგადი ღირებულებები

3.1.არქიტექტურული ღირებულება

კინოთეატრი „რუსთაველი“ აშენდა 1939 წელს არქიტექტორ ნიკოლოზ სევეროვის პროექტით და განეკუთვნება პოსტკონსტრუქტივიზმის არქიტექტურულ მიმდინარეობას, რომელიც წარმოიშვა 1930-იანი წლების საბჭოთა კავშირში, კონსტრუქტივიზმისა და კლასიციზმის გადაკვეთაზე. შენობა ასახავს გარდამავალი სტილის მნიშვნელოვან მახასიათებლებს — კლასიკურ რიტმიკას, მოდერნიზებული ორდერულ სისტემას და ფუნქციურად სრულყოფილ დაგეგმარებას.

შენობა არსებითად დაკავშირებულია არქიტექტურულ ტენდენციებთან, რომლებიც 1930-იან წლებში მიმდინარეობდა თბილისში, და წარმოადგენს ისეთივე საეტაპო ნაგებობას, როგორიცაა „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა ან „პურის ქარხანა“. აღნიშნული ღირებულება სრულად ვრცელდება არა მხოლოდ გეგმარებასა და ფასადზე, არამედ მოიცავს ასევე საინჟინრო სისტემებს, მასალებს, ინტერიერის ელემენტებს (სანათები, ავეჯი, პანელები, ქსოვილი) და სივრცით ლოგიკას.

3.2.ისტორიული და ქალაქგეგმარებითი ღირებულება

კინოთეატრი განთავსებულია თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ და სიმბოლურ ურბანულ მონაკვეთში — რუსთაველის გამზირზე, სადაც თავმოყრილია მრავალი საკულტო შენობა. „რუსთაველი“ არ არის მხოლოდ ცალკე მდგომი არქიტექტურული ობიექტი, არამედ ის ჩართულია ურბანულ ქსოვილში, ისტორიულ და საზოგადოებრივ მეხსიერებაში.

ისტორიული ღირებულება დაკავშირებულია მის ფუნქციურ უწყვეტობასთან: კინოთეატრი თავიდანვე აშენდა ამ დანიშნულებით და შენარჩუნებული ჰქონდა ძირითადი ფუნქცია თითქმის 80 წლის განმავლობაში. ასეთი აუთენტური ფუნქციური დატვირთვით გამორჩეული საზოგადოებრივი სივრცეები უმნიშვნელოვანესია ქალაქის კოლექტიური იდენტობისთვის.

3.3.სოციალური ღირებულება

„რუსთაველი“ ათწლეულების განმავლობაში იყო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი. კინოთეატრი ქმნიდა არა მხოლოდ სივრცეს კინოჩვენებებისთვის, არამედ იყო შეხვედრის, გაზიარებისა და კულტურული თანაცხოვრების ადგილი. ამ გარემოს განახლება და მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება დაკავშირებულია შენობის ღიაობასთან საზოგადოებისთვის.

2000–2018 წლებში აქ გამართული ფესტივალები და კინოჩვენებები არსებითად გაამდიდრა საქართველოს თანამედროვე კულტურული სივრცე და განამტკიცა მისი სოციალური მნიშვნელობა. სწორედ ეს პროცესები არის ავთენტური მეხსიერების ნაწილია, რომელიც არა მხოლოდ შენობაში, არამედ ადამიანთა გამოცდილებებში არსებობს.

4. შენობის სტატუსი

კინოთეატრი „რუსთაველი“, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 10 ოქტომბრსის ბრძანება 3/181-ის საფუძველზე, შეყვანილია კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა ნუსხაში, რაზეც კანონით დადგენილი დაცვის სამართლებრივი რეჟიმი მოქმედებს.

5. შენობის ამჟამინდელი მდგომარეობა

მას შემდეგ, რაც კინოთეატრი, აღნიშნული შენობიდან გავიდა და შეუერთდა სავაჭრო ცენტრში განტავსებულ კინოთეატრების სიტემას, შენობამ დაკარგა ფუნქცია. მას შემდეგ ის დაცლილი და მიტოვებული იყო 2025 წლამდე, როდესაც შენობის პირველი სართული გაქირავდა და მასში სამშენებლო კომპანიის საჩვენებელი სივრცე მოეწყო. შენობის განსაკუთრებული მაღალმხატვრული ღირებულებიდან და ფუქნციიდან გამომდინარე, როგორც პროფესიული, ასევე სამოქალაქო საზოგადოება, ყურადღებით აკვირდება შენობის გარშემო მიმდინარე პროცესებს. წლების განმავლობაში საუბარი იყო მის ფუქნციურ ადაპტაციაზე, არქიტექტურულ სახეცვლაზე და სხვა რაც დაუშვებლად გვეჩვენება მისი საერთო ღირებულებისა და ქალაქისთვის განუმეორებადი ისტორიული ფუნქციის ფონზე. შესაბამისად წარმოგიდგენთ ზოგად და კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს შენობაზე ნებისმიერი დიდი თუ მცირე სახის ჩარევა.

6. კინოთეატრ „რუსთაველის“ მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო კვლევა

2020 წელს, მომზადდა შენობის ფუნდამენტური კვლევა, ერთგვარი მეთოდლოგიური სახელმძღვანელო დოკუმენტი, ეხება კინოთეატრ "რუსთაველის" მდგომარეობის, არქიტექტურული ღირებულებებისა და საკონსერვაციო-სარეკონსტრუქციო

აუცილებლობების შეფასებას. დოკუმენტი წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით დოკუმენტს, რომელიც გამიზნულია შენობის ავთენტური ელემენტების დაცვასა და მის ფუნქციურ რეაბილიტაციაზე.

დოკუმენტი მკაფიოდ ეყრდნობა საერთაშორისო ძეგლთადაცვით დოკუმენტებს, საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო კონსერვაციულ პრაქტიკას. იგი წარმოადგენს არქიტექტურული კვლევის, შეფასების და რესტავრაციის გეგმის მაღალპროფესიულ ნიმუშს, რომელიც ერთდროულად ითვალისწინებს არქიტექტურულ, ისტორიულ, სოციალურ და ვიზუალურ ღირებულებებს.

შესაბამისად წინამდებარე კვლევა ეფუძნება ზემოთაღნიშნულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტს და მასში წარმოდგენილ რეკომენდაციებს. თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია გადახურვის საფარის შეცვლაზე რაც დასაშვებად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

რეკომენდაციები განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით





წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შენობის გადახურვის საფარის განახლებას, რაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრინციპების გათვალისწინებით დასაშვებია, თუმცა მხოლოდ იმ პირობით, რომ ინტერვენცია არ გამოიწვევს ისტორიული გადახურვის მოცულობით-სივრცითი მახასიათებლების ცვლილებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ:

- სრულად შენარჩუნდეს სახურავის ისტორიული გეომეტრია, მათ შორის ქედის (კეხის) სიმაღლე, დახრის კუთხეები, გადახურვის ყველა არსებული სიბრტყე, კონტური და საერთო სილუეტი;
- დაუშვებელია მზიდი კონსტრუქციის ცვლილება, მისი აწევა, დაწევა, ჩანაცვლება განსხვავებული სქემით ან ისეთი ჩარევა, რომელიც შეცვლის სახურავის კონსტრუქციულ სისტემას და შენობის ისტორიულ პროფილს;
- სამუშაოები უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ დაზიანებული გადახურვის მასალის დემონტაჟითა და მისი ჩანაცვლებით;
- ახალი საფარი უნდა დამზადდეს ისტორიულად ავთენტური მასალის იდენტური ან მაქსიმალურად მიახლოებული მასალისგან, შესაბამისი ტექსტურითა და ტექნოლოგიური მახასიათებლებით;
- გადახურვის ფერადოვანი გადაწყვეტა უნდა აღდგეს ისტორიული იერსახის შესაბამისად. გამოყენებული უნდა იქნეს სურიკისფერი (წითელ-მოყავისფრო)

საფარი, რომელიც ისტორიულად ახასიათებდა შენობას და წარმოადგენს მისი ავთენტური არქიტექტურული სახის განუყოფელ ელემენტს;

- დაუშვებელია თანამედროვე პროფილირებული თუნუქის, პრიალა პოლიმერული ან სხვა ისეთი მასალების გამოყენება, რომლებიც ვიზუალურად ცვლის ისტორიულ იერსახეს;
- გადახურვასთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ელემენტი (წყალსაწრეტი დეტალები, სავენტილაციო გამოსასვლელები, საჩრდილობლები და სხვა) ასევე უნდა შესრულდეს ისტორიულ იერსახესთან თავსებადი ფორმით, მასალითა და ფერადოვნებით.

და ბოლოს შენობის სახურავი წარმოადგენს მისი არქიტექტურული კომპოზიციის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც შენობის ისტორიული სილუეტის, ისე რუსთაველის გამზირის ურბანული პანორამის ფორმირებაში. შესაბამისად, გადახურვის საფარის განახლება უნდა განიხილებოდეს როგორც საკონსერვაციო ღონისძიება და არა სარეკონსტრუქციო ტრანსფორმაცია.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია

თ. ამაშუკელი

N53
30.07.2026

მინდობილობა

სს „კინოთეატრი რუსთაველი“-ს (ს/კ: 204439170) მიერ შპს „ანაგზე“ (ს/კ: 245416401) 2026 წლის 30 ივლისს გაცემული N3007-26 მინდობილობის (მე-5 პუნქტის — გადანდობის უფლების) საფუძველზე:

შპს „ანაგი“ (ს/კ: 245416401, შემდგომში — „მარწმუნებელი“), ახორციელებს რა გადანდობის უფლებას, აღნიშნული მინდობილობით მინიჭებულ უფლებამოსილებას სრულად გადაანდობს **ოთარ ჯანელიძეს** (პ/ნ 61001066085) (შემდგომში — „რწმუნებული“).

აღნიშნული გადანდობის საფუძველზე, ოთარ ჯანელიძეს (პ/ნ 61001066085) ენიჭება უფლებამოსილება, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით (საკადასტრო კოდი: 01.15.04.024.006, მისამართი: ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი N5):

1. წარმოადგინოს მარწმუნებელი ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში (მათ შორის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი), ნებისმიერი მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, მათ შორის კომუნალური მომსახურების მომწოდებლებთან ურთიერთობაში.
2. რწმუნებული უფლებამოსულია მარწმუნებლის სახელით წარადგინოს, მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია.
3. იყოს წარმომადგენელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მერიის ერთეულებში/დაწესებულებებში და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, ასევე არქიტექტურის სამსახურში, განახორციელოს მშენებლობის ნებართვების (ნებისმიერი ეტაპი)/თანხმობების მიღებასთან/კორექტირებასთან/შეთანხმებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პროცედურა.
4. წინამდებარე მინდობილობის ფარგლებში რწმუნებულს უფლება აქვს ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს, ჩააბაროს, მოითხოვოს და მიიღოს ყველა სახის დოკუმენტაცია.
5. წინამდებარე გადანდობის მინდობილობა ძალაშია 2026 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

პატივისცემით,
შპს „ანაგი“-ს დირექტორი
ირაკლი გოგოლიშვილი

შპს „ანაგი“ - ს/კ 245 416 401
კოსტავას ქუჩა 37/39, თბილისი, საქართველო, 0179
ტელ: +995 (32) 224 12 11 | ელ.ფოსტა: info@anagi.ge
ფიროსმანის ქუჩა 1ა, ბათუმი, საქართველო, 6009
ტელ: +995 (422) 27 41 39 | ელ.ფოსტა: office@anagi.ge

Anagi LLC – ID 245 416 401
No. 37/39 Kostava Street, Tbilisi, Georgia, 0179
Tel: +995 (32) 224 12 11 | E-mail: info@anagi.ge
No. 1a Pirosmani Street, Batumi, Georgia, 6009
Tel: +995 (422) 27 41 39 | E-mail: office@anagi.ge

რუსთაველი

5 Rustaveli Avenue
Tbilisi Georgia 0105
Tel.: +995 322 555 000
Fax: + 995 322 555 005
info@kinoafisha.ge
www.kinoafisha.ge

30 ივლისი, 2026 წელი
N3007-26

მინდობილობა

მე, **სს „კინოთეატრი რუსთაველი"-ს ს/კ: 204439170** დირექტორი ოთარ ბუბაშვილი (შემდგომში - "მარწმუნებული")

შპს „ანაგს" ს/კ 245416401 (შემდგომში მოხსენიებულნი, როგორც "რწმუნებული")

ვანიჭებ უფლებამოსილებას მასზედ, რომ უძრავ ქონებასთან **საკადასტრო კოდი: 01.15.04.024.006** მისამართი: *ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი N5.*

1. წარმოადგინოს მარწმუნებელი ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში (მათ შორის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი), ნებისმიერი მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, მათ შორის კომუნალური მომსახურების მომწოდებლებთან ურთიერთობაში.

2. რწმუნებული უფლებამოსულია მარწმუნებლის სახელით წარადგინოს, მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია.

3. იყოს წარმომადგენელი ადგილობრივი თვითმართველობისა და მერიის ერთეულებში/დაწესებულებებში და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, ასევე არქიტექტურის სამსახურში, განახორციელოს მშენებლობის ნებართვების (ნებისმიერი ეტაპი)/თანხმობების მიღებასთან/კორექტირებასთან/შეთანხებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პროცედურა.

4. წინამდებარე მინდობილობის ფარგლებში რწმუნებულს უფლება აქვს ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს. ჩააბაროს, მოითხოვოს და მიიღოს ყველა სახის დოკუმენტაცია.

5. რწმუნებულება გაცემულია გადანდობის უფლებით.

6. რწმუნებულება ძალაშია 2026 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

სს „კინოთეატრი რუსთაველი"
ს/კ: 204439170
დირექტორი

ოთარ ბუბაშვილი

204439170
რუსთაველი
ს/ს კინოთეატრი რუსთაველი
JSC CINEMA RUSTAVELI

სამშენებლო ღობე მოეწყობა მშენებლობის ნებართვის აღებიდან ერთი თვის მანძილზე

სამშენებლო ტექნიკა არ იმოძრავებს პიკის საათებში 08:00 სთ-დან 11:00 სთ-მდე და 17:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე

რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობს გზის რეაბილიტაცია

8.2

01.15.04.024.006

10.05

15.9

3.4

7.05

5.8

5.8

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

მისამართი:

ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირის მიმდებარედ
(ს.კ. 01.15.04.024.006)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.
(ღობის მონტაჟი-დემონტაჟი)

თარიღი: 2026 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შ.პ.ს. " ანაბი "

შ.პ.ს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577-15-55-75
598-77-88-48

შეასრულა: ვაკო ბურდული

შეამოწმა: ნიკა სიდამონიძე

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

1.26 - 3 ც.

შუქ ტ7 - 5 ც.

პირობითი აღნიშვნები

ქვეითთა მოძრაობის მიმართულება

საშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება

ლენტური ღობე

მედროშე 1 ადამიანი

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

საქართველო. შპს "STS" GEORGIA. "STS" LLC. 400234055

სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები შესრულდება სქემის შეთანხმებიდან 4 თვის მანძილზე

სამშენებლო ტექნიკა არ იმოძრავებს პიკის საათებში 08:00 სთ-დან 11:00 სთ-მდე და 17:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე



საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

მისამართი:

ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირის მიმდებარედ (ს.კ. 01.15.04.024.006)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.
(სახურავის რაბილიტაციის პერიოდი)

თარიღი: 2026 წელი | მასშტაბი: პირობითი

დამკვეთი: შ.პ.ს. " ანაბი "

შ.პ.ს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577-15-55-75
598-77-88-48

შესრულა: ვაკო ბურდული

შეამოწმა: ნიკა სიდამონიძე

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები



1.26 - 3 ც.

შუქ. ტ7 - 5 ც.

პირობითი აღნიშვნები



ქვეითთა მოძრაობის მიმართულება



სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება

სამშენებლო ღობე



მედროშე 1 ადამიანი



SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

საქართველო. შპს "STS" GEORGIA. "STS" LLC 400234055